რაგბი

ევროპის ერთა თასი

საქართველო — უკრაინა

შაბათი, 26 თებერვალი, 2005 წელი

ეროვნული სტადიონი

დასაწყისი დღის სამ საათზე



ერთა თასი (ეთ) 2005–2006

2004	20/11	რუსეთი – საქართველო	15:27
		უკრაინა – პორტუგალია	6:36
	27/11	ჩეხეთი – რუმინეთი	14:38
2005	5/02	პორტუგალია – საქართველო	18:14
	26/02	საქართველო – უკრაინა	
		რუმინეთი – რუსეთი	
		პორტუგალია – ჩეხეთი	
	12/03	საქართველო – რუმინეთი	
		ჩეხეთი – უკრაინა	
	19/03	რუმინეთი – უკრაინა	
		ჩეხეთი – რუსეთი	
	4/06	რუსეთი – პორტუგალია	
	11/06	საქართველო – ჩეხეთი	
		რუმინეთი – პორტუგალია	
		რუსეთი – უკრაინა	

მეორე წრე: 2005 წლის შემოდგომიდან 2006 წლის ივნისამდე

უკრაინა მობრძანდება!

დაუგვიანდათ და თანდათან ინაზღაურებენ

დღეს, „ეროვნულზე“, დიდ, „ერთა თასის“ რაგბში, ჩვენი „ბორჯღალოსნები“ უხვდებიან დანატრებულ სტუმარს, უკრაინას, ვინც, თუკი შვიდკაცას სათვალავში არ ჩავაგდებთ, საქართველოში აგერ უკვე 14 წელია, სარაგბოდ არ ჩამოსულა და საერთაშორისო ასპარეზზე თვითდამკვიდრების მხრივაც უკლებლივ ყველაფერში ჩამოგვრჩა.

უკრაინა აქ ბოლოჯერ 1991 წლის ნოემბერში იყო. იმხანად რუსთაველის გამზირი პერიოდულად იხერგებოდა სატვირთო მანქანებით. წავიდნენ ხახოლი მორაგბეები და ერთ თვეში თბილისის ომი ატყდა. შემდეგ ზაფხულს, საბჭოთა ძერვაჟის დაშლის შემდეგ, „ბორჯღალოსნები“, რომელთაც ეს სახელი ოფიციალურად ჯერ არ ერქვათ, საპასუხო ვიზიტით კიევს ეწვივნენ.

იგივე გამეორდა 1998 წელს, კოკისპირულ წვიმაში რუსეთის საარაკო ძლევის წინ. მას აქეთ ლამის შვიდი წელი გავიდა, უკრაინა მოძლიერდა, ევროპის

ზედა დონეზე ამოვიდა და ჰა, ტესტის თამაშის უფლება მოიპოვა საქართველოსთან, ვისთანაც აქამდე გამართული ხუთივე რკენა წაუგია. ამ თამაშების ჯამური ანგარიში 89:45 ჩვენს სასარგებლოდაა და მეტოქეს ლელოებითაც 10–7 ვჯობნით.

ახალი, 2005–2006 წლების „ერთა თასი“ შარშან, ნოემბერში გაჩაღდა. საქართველომ ორი მატჩის გამართვა მოასწრო: ერთ კონკურენტს, რუსეთს კრასნოდარში 27:15 მოუგო, მეორესთან, პორტუგალიასთან კი სტუმრად 14:18 დამარცხდა. ლუზიტანები პირველ რაუნდში ხახოლებს ოდესაში ეახლნენ და 36:6 მოუგეს, რაც ამ სამი გუნდის ფარდობით ძალაზე მიუკერძოებლად მიგვანიშნებს.

პორტუგალია საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში 6600 ქულით მე-17 ადგილზეა. საქართველო მეოცეა (6085), რუსეთსა (5819) და ჩეხეთს (5683) შორის მოქცეული უკრაინა კი 26-ე (5766).

ხახოლებმა, რომელთა რაგბის ნაკრებსაც ჯერაც არა აქვს აღიარებული თიკუნი, წინა ორ სეზონში რვიდან შვიდი მატჩი მოიგო, ერთხელ ფრეს დაჯერდა, ხუთგუნდა „ერთა სინზე“ ორი გამარჯვებით ჩამოიტოვა გერმანია და „ერთა თასზე“ ამოვიდა, რითაც ის შეღავათი დაიმსახურა, რომ 2007 წლის მსოფლიო თასის შერჩევაში მეოთხე ევროპულ რაუნდზე ადრე არ ჩაებმება.

უკრაინა შესარჩევ ციკლში მესამედ მონაწილეობს, საქართველო კი მეოთხედ. თუ ჩვენ სარაგბო დამოუკიდებლობაზე ფიქრი 1989 წელს დავიწყეთ და IRB-ს დროულად შევეხმიანეთ, უკრაინამ „ეროვნული“ ფედერაცია ბელოვეჟის პაემნის შემდეგღა შექმნა და მსოფლიო ოჯახის წევრად გახდომა დაუგვიანდა. ამის გამო ხახოლები 1999 წლის ციკლშიღა ჩაებნენ, მაგრამ მეორე რაუნდში ჰოლანდიაში 13:35 წააგეს, შინ რუმინეთთან 17:39 დამარცხდნენ და გავარდნენ.

მეორე ცდაზე, 2003 წლის ციკლში, უკრაინამ 2000 წელსვე ჩეხეთში 3:35 წააგო და რაკი მსოფლიო თასის შესარჩევში „ერთა სინის“ თითო ხუთგუნდა პულიდან მხოლოდ საუკეთესო გადიოდა, ისევ თამაშგარეთ აღმოჩნდა. ამ დროს საქართველო „ერთა თასის“ მფლობელი იყო და ავსტრალიის საგზურის მოპოვებისთვის გამართულ დოღში იმოტოლა ფორა ჰქონდა, რომ 2002 წლის ოქტომბერში, რუსეთის შინ ჯობნით (17:13) დააგვირგვინა შესარჩევი კამპანია.

უკრაინა

2003–2004 წლების „ერთა სინზე“

2002 პოლონეთი (შინ) 20:11, გერმანია (გარეთ) 26:26

2003 ჰოლანდია (გ) 24:18, შვედეთი (შ) 37:0 / გერმანია (შ) 6:3, პოლონეთი (გ) 24:13

2004 შვედეთი (გ) 41:0, ჰოლანდია (შ) 22:0

პეინტ-ბოლი ამჯობინეს

საქართველოს სამარადჟამო ბალანსი 70 მატჩი, 39 გამარჯვება, 28 მარცხი და სამი ფრეა. უკრაინის რაგბის ფედერაციას შარშანწინ ოფისი გადაებუგა და არქივიც დაეწვა. მისი ვებსაითის მიხედვით, გუნდს 47 „ოფიციალური მატჩი“ გაუმართავს და 36 მოუგია (10 მარცხი, ერთიც ფრე), ყოვლის-მცოდნე ტასმანიელი სტატისტიკოსის, გარი კარბინის ანგარიშით კი ხახოლთა მონაგარი 32 გამარჯვება, 16 მარცხი და ერთი ფრეა. ჰოდა, თუ ეს მონაცემები უფრო სწორია, მაშინ საქართველოსთან რკენა უკრაინისთვის საიუბილეო, 50-ე გამოდის.

სლავები ამ თამაშს მთლად დალხენილნი ვერა ხვდებიან. რაგბმა (პრეზიდენტი ოლეკსი ციბკო) ნარინჯისფერ რევოლუციას სპორტულ ორგანიზაციათაგან პირველმა გამოუცხადა მხარდაჭერა, მაგრამ ახალი ხელისუფლების გული მაინც ვერ მოიგო. სხვანაირად ვერაფრით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქვეყნის ერთადერთი კეთილმოწყობილი სარაგბო სტადიონის, „სპარტაკის“ ახალმა დირექტორმა, მიკოლა ბრიცოვმა ნაკრები ასპარეზიდან გააძევა, რის გამოც უკრაინა „ერთა თასის“ პირველ წრეში ხუთიდან ოთხ თამაშს სტუმრად მართავს.

„სპარტაკი“ კიევშია, პოდოლისა და კურენიოვკის საზღვარზე. ვიდრე ბაზა ოლეკსი პოპოვს ებარა, რაგბს არაფერი უჭირდა, მაგრამ გარდაიცვალა ეს ღვთისნიერი, რაგინდარა სპორტის მოამაგე კაცი და ფინანსთა სამინისტრომ სტადიონზე მოქმედი ოფისი უმალ დააცლევინა ფედერაციას, რათა შიგ კომპიუტერული გადამზადების კურსები გახსნას, ახალი „ხაზეინი“ კი რაგბს აუხირდა, ქირის გადახდის უუნარო ხარო და ასპარეზზე პეინტ-ბოლის (ომობანა საღებავმტყორცნებით) და ლუდის ფესტივალების გამართვა დაიწყო.

„სპარტაკზე“ ნაკრების გარდა, კიევის სამი კლუბიც თამაშობდა. ქვეყნის მორიგი პირველობა 3 აპრილს იწყება და სამ ჯგუფად გაიმართება. „სუპერ ლიგაში“ ექვსი გუნდია (სამი კიევის, თითო ხარკოვის, ხმელნიცკის და ოდესის). შარშან ზედიზედ მერვედ (!) იჩემპიონა „არგო ნაუ“-მ, ვისი მწვრთელებიც, ვოლოდიმირ მუხა და ოლეკსანდრ ზახარენკო, ნაკრების გურუებიც არიან. მეორე ადგილზე ხარკოვის „ლელიონი“ გავიდა, მესამეზე კი ხმელნიცკის „ობოლონ უნივერსიტეტი“.

სულ რაგბი უკრაინის რვა ოლქსა და ყირიმის ავტონომიაშია დანერგილი. კაცთა გუნდია თვრამეტია, ყველა ასაკის მოთამაშე კი 3 500. ნაკრებს რუსეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში მოთამაშე თითო-ოროლა ლეგიონერი ჰყავს. XXI საუკუნეში უკრაინის პირველობაზე სისტემატურად რაგბობდა მეზობელი მოლდოვის ორად-ორი კლუბი (კიშინიოვი და ტირასპოლი), შარშანდლიდან კი ოდესაში მუშაობს „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი მენეჯერი, აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების მენეჯერი გია „ჭუკი“ ჭუმბურიძე.

უკრაინა

პორტუგალიის წინააღმდეგ

20/11/2004

(15-9) ანდრი ტიშჩენკო, ვლადისლავ სტორჩაკი, იაროსლავ პერელუდა, სერღი ღარკავი, ვოლოდიმირ ჩერედნიჩენკო; ანდრი პოლოსენკო, ვალერი მაკსიუკი /

(1-8) სერღი სუხიხი, მიკოლა კირსანოვი, ოლეკსანდრ ნიუნინი; ვოლოდიმირ კოშელია, ვიტალი სალენკო; სერღი კურეზა, ვიტალი ზადვირნი, ოლეღ ზალიზნი პაპ

ჰალსტუხები ოხრად დაგვირჩა

საქართველოში რაგბი 1959 წელს დაინერგა. უკრაინა სამი წლით ჩამოგვრჩა. 1963 წელს კიევის „პოლიტეხნიკმა“ მინვოდში „ბურევესტნიკის“ პირველობაზე ირაგბა, ოდესის „ავანგარდმა“ კი თბილისში, პროფკავშირთა ჩემპიონატზე ითამაშა და 29 სექტემბერს, ასპ-ის სტადიონზე 6:27 წააგო თბილისის „განთიადთან“, ვინც ექვსგუნდა შეჯიბრში მესამე ადგილი დაიჭირა.

კიეველებს თბილისელები პირველად 1965 წლის აგვისტოში, ხერსონში (უკრაინა), „ლოკომოტივის“ პირველობაზე ერკინენ. თამაში, რომელიც რესპუბლიკური ტელევიზიით გადაიცა, ფრედ (6:6) დასრულდა. ფრედვე, ოღონდაც 9:9 დამთავრდა თბილისის „ლოკომოტივისა“ და კიევის „სპარტაკის“ პირველი ვაკური ჯახიც 1966 წლის 1 ნოემბერს. გაზეთ „ლელოს“ თანახმად, ჩვენმა რკინიგზელებმა თამაშის ბოლოს ორი ჯგუფური ლელო შეიტანეს, მაგრამ მოსკოველმა მსაჯმა დანილოვმა ისინი არ ჩათვალა.

საქართველო – უკრაინის მეტოქეობა საკავშირო ასპარეზზე არც შემდეგ დამცხრალა. 1969 წელს, ბაუსკაში (ლატვია) კიევის „დინამომ“ თბილისისა ძლია და ფინალური სტადიის მიღმა დატოვა, 1971 წელს კი ქუთაისში გაანადგურა და უმაღლესი ლიგიდან გააგდო. 1973 წლის 17 ივნისს „სპარტაკმა“, რომელიც მონინოს სსა-დან გადასული ღენადი პეტრენკოთი გაძლიერდა, წინა წლის ბრინჯაოს პრიზიორი „ლოკომოტივი“ ასპ-ზე სასტიკად, 19:3 დაგვიმარცხა.

1987-88 წლებში ქუთაისის „აიამ“ კიევში ორჯერვე 6:3 ძლია „ავიატორი“ და კიდეც იჩემპიონა. მალე საბჭოეთი რესპუბლიკებად დაიშალა. ამ დროისთვის უკრაინული რაგბის ფლაგმანს ერთი ოქრო, სამი ვერცხლი, ხუთი ბრინჯაო და სამი თასი ჰქონდა მოგებული, სამი ქართული გუნდის (დინამო, ლოკომოტივი, აია) საზიარო მონაგარმა კი სამი ოქრო (ყველა „აიამ“ აიღო!), ორი ვერცხლი, ხუთი ბრინჯაო და სამი თასი შეადგინა.

„ლოკომოტივი“ „ავიატორს“ 42-ჯერ ერკინა: მოუგო 14, წააგო 23, 5-ჯერ დაუზავდა, ცხრილში 5-ჯერ გაუსწრო და 15-ჯერ ჩამორჩა. „აიას“ ბალანსიც უარყოფითია, მაგრამ უკეთესი: 34 მატჩი, 13 გამარჯვება, 19 მარცხი, 2 ფრე, 5 გასწრება და 7 ჩამორჩენა. ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა ხანაში ქართველები მუდამ ორად ვიყავით გაყოფილი, უკრაინას კი ერთადერთი ძლიერი კლუბი ჰყავდა.

იმპერია რომ დაიშალა, ჩვენი კავშირის მიერ მოფიქრებული „საბჭოთა ერების“ სანაკრებო ჩემპიონატის იდეაც დასამარდა. 1994 და 1998 წლებში რუმინეთმა და რუსეთმა „შავი ზღვის“ პირველობებიც ჩაშალეს. მეორეჯერ საგანგებოდ ამ ტურნირისთვის დამზადებული ჰალსტუხები ოხრად დაგვირჩა, მაგრამ სტრატეგიული პარტნიორები ზრდილობისთვის მაინც შევერკინეთ, ახლა კი 3-ქულიანი ლელოს ხანაში ჩასახული საკლუბო კონტაქტების გაღრმავება 5-ქულიანი ლელოს ეპოქაში, ეროვნულ ნაკრებთა დონეზე გვიწევს.

დროული და უტყუარი სარაგბო ინფორმაცია

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

მსოფლიო რაგბის საითი www.geocities.com/DidiRagbi

რაგბის კავშირის საითი www.GeorgianLelos.com

აქამდელი შერკინებანი

1991 წლის 21 ნოემბერი. ვაკე

საქართველო – უკრაინა 19:15

სამ: (15–9) მ.ხარშილაძე, ა.ხვედელიძე, ბესელია (ჯანელიძე 41), თავაძე, ლ.ვაშაძე; ნ.ძაგნიძე ძაპ (ი.ლეჟავა 47), ქერაული / (1–8) ბაკურაძე, ტურძელაძე, კ.გიუნაშვილი; ღუდუშაური, გაგნიძე; ფერაძე (ხუადე 45), ვართანიანი, გ.გიუნაშვილი – 2ლ: ძაგნიძე, გ.გიუნაშვილი; 8: ლეჟავა; ს: ძაგნიძე; 2ა: ძაგნიძე, ლეჟავა

შპრ – 2ლ: იღნატენკო, სტორჩაკი; 2ბ, ს: დონეცი

რეფ: რეხვიაშვილი – 4:0(3) 7:0(21) 10:0(23ა) 10:6(32) 10:9(36) ნახევარი (40“2) / 10:15(46) 13:15(72ა) 19:15(80“2) ბოლო (80“4)

1991 წლის 24 ნოემბერი. რუსთავი

საქართველო – უკრაინა 6:0

სამ: ი.ლეჟავა, სპ.ლიპარტელიანი, ჯანელიძე, თავაძე, საცერაძე; ხვედელიძე ძაპ (ნ.იურინი 40“3), ქერაული / ბაკურაძე, კ.გიუნაშვილი, გაგნიძე (მთიულიშვილი 41); დიდებულიძე (ზ.ლეჟავა 60), ხუადე; ღუდუშაური, ვართანიანი, გ.გიუნაშვილი – 2ს: ი.ლეჟავა

რეფ: რეხვიაშვილი – 3:0(30) ნახევარი (40“6) / 6:0 (77) ბოლო (80“4)

1992 წლის 13 ივლისი. კიევი

უკრაინა – საქართველო 13:18

სამ: ნ.ძაგნიძე ძაპ (ლ.მგელაძე 56), ე.ძაგნიძე, ხვედელიძე, მარჯანიშვილი, ვაშაძე (ძნელაძე 66); ჩავლეიშვილი (ი.ლეჟავა 53), ნატროშვილი (ქერაული) / ბაბუნაშვილი, სვანიძე (საცერაძე 27), კ.გიუნაშვილი; ღიბრაძე, შვანგირაძე; ჯაფარაშვილი, ვართანიანი, გ.გიუნაშვილი – 2ლ: ნ.ძაგნიძე, ხვედელიძე; 2ბ, ს, ა: ნ.ძაგნიძე

შპრ – 2ლ: სტორჩაკი, ლვოვი; ბ, ს: დონეცი

რეფ: გრუმბინასი (ლიტვა) – (ჯერ ჩვენი) 3:0(7ა) 9:0(13) 12:0(19) / 18:0(48) 18:3(56) 18:7(65) 18:13(68)

1992 წლის 15 ივლისი. კიევი

უკრაინა – საქართველო 0:15

სამ: ნ.ძაგნიძე ძაპ, ე.ძაგნიძე, ხვედელიძე, მარჯანიშვილი, საცერაძე; ჩავლეიშვილი, ქერაული (ნატროშვილი 55) / ბაბუნაშვილი (ვაშაძე 60), ჯაფარაშვილი, კ.გიუნაშვილი; ღიბრაძე, რაფავა; ვართანიანი, შვანგირაძე (ლ.მგელაძე 55), გ.გიუნაშვილი – ლ: გ.გიუნაშვილი; ბ, ს: ნ.ძაგნიძე; 2ა: ჩავლეიშვილი

რეფ: გრუმბინასი – 3:0(11) 9:0(37) / 12:0(47ა) 15:0(68ა)

1998 წლის 3 მაისი. კიევი

უკრაინა – საქართველო 17:31

სამ: იურინი, ურჯუკაშვილი, ჯიმშელაძე (საკანდელიძე), ხამაშურიძე (ი.მაისურაძე), აბაშიძე; მაჩიტიძე, შ.მოდებაძე (ჯანელიძე) / მთიულიშვილი (აშვეთია), ა.გიორგაძე (ჭავჭავაძე), გუშარაშვილი (სულთანიშვილი); რაფავა (მაგრაქველიძე), ზ.მჭედლიშვილი ძაპ; კაცაძე (ცხვედიანი), ლაბაძე, კ.კობახიძე (ობოლაძე) – 5ლ: იურინი 2, ურჯუკაშვილი, კობახიძე, ხამაშურიძე; 3ბ: ურჯუკაშვილი 2, მაჩიტიძე

შპრ – 3ლ, ბ

რეფ: ? (უკრ)

საქართველოს ბორჯღალოსნები

ბეკები (უკანა ხაზი)

უკან (15, 11, 14 “ 22)

. . . დავით კიკნაძე (აკადემია: 26 / 3: 1გ 1ა “ 5 ქ)
. . . ირაკლი მაჩხანელი (აკადემია; 24 / 12: 2ლ “ 10 ქ)
. . . ბესიკ ხამაშურიძე (უკლუბო; 28 / 37: 9ლ “ 45 ქ)
. . . ლექსო გუგავა (ლოკომოტივი; 23 / 7:)

შუაში (13, 12 “ 21)

. . . თედო ზიბზიბაძე (გურდონი სზრ; 25 / 34: 6ლ “ 30 ქ)
. . . ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი სზრ; 23 / 12:)
. . . ლაშა ფირფილაშვილი (ლელო; 22 / 5:)

პივოტი (10)

. . . ოთარ ბარკალაია (ლელო; 21 / 9: 1ს 1ა “ 6 ქ)

ჰავბეკი (9 “ 20)

. . . ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი სზრ; 28 / 27: 4ლ “ 20 ქ)
. . . გიორგი კაჭარავა (უკლუბო; 23 / ახალბედა)

ფორვარდები (შერკინება)

პირველი ხაზი (1, 2, 3 “ 16, 17)

. . . ავთო კოპალიანი (შალონი სზრ; 23 / 4: 1ლ “ 5 ქ)
. . . ლევან ჯაველიძე (ნანტი სზრ; 28 / 9: 1ლ “ 5 ქ)
. . . დავით ზერაქაშვილი (კლერმონი სზრ; 22 / 3:)
. . . აქვსენტი გიორგაძე (როვიგო იტა; 29 / 36: 7ლ “ 35 ქ)
. . . მიხეილ სუჯაშვილი (ლელო; 28 / 3:)

მეორე ხაზი (4, 5 “ 18)

. . . ილია ზედგინიძე კაპ (ორლეანი სზრ; 28 / 33 (17 კაპ): 11ლ “ 55 ქ)
. . . მამუკა გორგოძე (ლელო; 20 / 11: 2ლ “ 10ქ)
. . . ლევან დათუნაშვილი (ვიერზონი სზრ; 22 / 2:)

მესამე ხაზი (6, 7, 8 “ 19)

. . . ვასილ კაცაძე (ალბი სზრ; 29 / 33 (2 კაპ): 7ლ “ 35 ქ)
. . . რატი ურუშაძე (ენისეი რშს; 30 / 6:)
. . . ბესო უდესიანი (შალონი სზრ; 26 / 9:)
. . . ზვიად მაისურაძე (ვოლსოლი ინგ; 25 / 6:)

მწვრთნელები: მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი